| 05 02 07 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 343,5 |
| 05 02 08 | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 186,9 |
| 05 02 09 | კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 170,0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 86,0 |
| 05 03 01 | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 86,0 |
| 05 04 | თეატრები | 145,0 |
| 05 05 | ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია | 15,0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------|----------|-----------------------|----------------------------------|
| | 05 01 01 | | 210,0 |



| | | | |
|--|---|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის სპორტული პროგრამების განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზებას, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას, წახალისებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოებას ფულადი საჩუქრით. სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების უზრუნველყოფას;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტები:</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.</p> <p>- „მოყვარულთა თასი“-ს და „7x7 ფეხბურთის“ 2020 წლის ჩემპიონატები, სადაც მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფეხბურთის მოყვარულთა გუნდები.</p> <p>-სპორტული პროგრამების განყოფილების მიერ დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები სხვადასხვა სახეობებში (ჭადრაკი, შაში, ნარდი, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მოტოკროსი, წყლის ველოსიპედებით შეჯიბრი და სხვ.), სადაც მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები და სპორტის მოყვარულები.</p> <p>პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;</p> <p>- მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.</p> <p>-გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები.</p> | | |
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კომპლექსური სასპორტო ღონისძიებების განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 01 03 | | 192,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>სპორტული სკოლა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი (84 მოსწავლე, სპორტული სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი "სამცხე" - 16 ფეხბურთელი); თავისუფალი ჭიდაობა (23 მოსწავლე); რაგბი (44 მოსწავლე); ჭადრაკი (23 მოსწავლე); კალათბურთი (48 მოსწავლე) ; კრივი (51 მოსწავლე); ძალოსნობა (12 მოსწავლე) ; ტაეკვანდო (12 მოსწავლე) ; ძიუდო (17 მოსწავლე); კიკბოქსინგი (28 მოსწავლე); ბრძოლა წესების გარეშე (11 მოსწავლე); მკლავჭიდი (17 მოსწავლე), კარატე და ქართული ჭიდაობა რომლებიც ფუნქციონირებს შეუდგებიან ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან სპორტული კომპლექსის ახალ დარბაზებში. სულ სპორტულ სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 მოსწავლე, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. ა(ა)იპ კომპლექსურ სასპორტო სკოლაში შტაბით გათვალისწინებულია 40 საშტატო თანამდებობა მათ შორის, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 13 და 27 მწვრთნელი. სპორტული სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საქართველოს პირველობაზე.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>პროგრამის მიზანია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისთვის; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: ა(ა)იპ კომპლექსური სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;</p> | | |

| | | | |
|--|---|--|------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ქალაქ ახალციხეში მძლეოსნობის განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
| | 05 01 04 | | 143,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი | | |



| | |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ახალციხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მძლეოსნობა, როგორც მასობრივი სპორტული სახეობა, ახალგაზრდების ფიზიკური განვითარების საუკეთესო საშუალებაა ახალციხის მოსახლეობისათვის ნებისმიერ ასაკში. ეს არის ტრადიციული სპორტი, რომელიც სჭირდება ყველა სპორტის სახეობას და მის განვითარებას. მძლეოსნობის სპორტული კლუბის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მეტი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა, სპორტსმენ მძლეოსანთა პროფესიული მომზადება და შეჯიბრებებში (ადგილობრივი ღონისძიებები, საერთაშორისო და რეგიონალური შეჯიბრებები, ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები) მონაწილეობა ერთგვარი სტიმული იქნება ახალგაზრდების ყოველდღიური აქტიური ცხოვრებისთვის. ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი უზრუნველყოფს ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებას, ნიჭიერი მძლეოსნების გამოვლენასა და მათ დაჯილდოებას სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით, მედლებითა და სიგელებით. ახალციხის მძლეოსნობის სპორტულ კლუბში ფუნქციონირებს მძლეოსნობის ექვსი ჯგუფი ექვსი მწვრთნელით და დღეის მდგომარეობით აღნიშნულ გუნდებში ირიცხება 110 მძლეოსანი, რომლებსაც ვამზადებთ ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ყველაფერი შეუწყობს ხელს უფრო მეტი ადამიანების ჩართულობას სპორტში თანაბრად გოგონებისა და ვაჟებისთვის. სპორტული კლუბი სისტემატიურად ზრუნავს კლუბის მოედნის, ბილიკების და მის გარშემო მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე. პროგრამის განმახორციელებელი მიზნად ისახავს დაიცვას გენდერული თანასწორობა.</p> |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია, სპორტსმენების აღზრდა, ოლიმპიური, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიის მოპოვება. მძლეოსნობით დაინტერესებული მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა და მძლეოსნების გაუმჯობესებული შედეგები. წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი შეჯიბრებები.</p> |

| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> | <p>ქალაქ ახალციხეში სპორტის განვითარება</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში</p> |
|---|--|---|---|
| | | <p>05 01 05</p> | |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბი</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ახალციხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მძლეოსნობა, როგორც მასობრივი სპორტული სახეობა, ახალგაზრდების ფიზიკური განვითარების საუკეთესო საშუალებაა ახალციხის მოსახლეობისათვის ნებისმიერ ასაკში. ეს არის ტრადიციული სპორტი, რომელიც სჭირდება ყველა სპორტის სახეობას და მის განვითარებას. მძლეოსნობის სპორტული კლუბის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მეტი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა, სპორტსმენ მძლეოსანთა პროფესიული მომზადება და შეჯიბრებებში (ადგილობრივი ღონისძიებები, საერთაშორისო და რეგიონალური შეჯიბრებები, ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები) მონაწილეობა ერთგვარი სტიმული იქნება ახალგაზრდების ყოველდღიური აქტიური ცხოვრებისთვის. ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი უზრუნველყოფს ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებას, ნიჭიერი მძლეოსნების გამოვლენასა და მათ დაჯილდოებას სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით, მედლებითა და სიგელებით. ახალციხის მძლეოსნობის სპორტულ კლუბში ფუნქციონირებს მძლეოსნობის ექვსი ჯგუფი ექვსი მწვრთნელით და დღეის მდგომარეობით აღნიშნულ გუნდებში ირიცხება 110 მძლეოსანი, რომლებსაც ვამზადებთ ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ყველაფერი შეუწყობს ხელს უფრო მეტი ადამიანების ჩართულობას სპორტში თანაბრად გოგონებისა და ვაჟებისთვის. სპორტული კლუბი სისტემატიურად ზრუნავს კლუბის მოედნის, ბილიკების და მის გარშემო მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე. პროგრამის განმახორციელებელი მიზნად ისახავს დაიცვას გენდერული თანასწორობა.</p> <p>სპორტული სკოლა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი (84 მოსწავლე, სპორტული სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი "სამცხე" - 16 ფეხბურთელი); თავისუფალი ჭიდაობა (23 მოსწავლე); რაგბი (44 მოსწავლე); ჭადრაკი (23 მოსწავლე); კალათბურთი (48 მოსწავლე) ; კრივი (51 მოსწავლე); ძალოსნობა (12 მოსწავლე) ; ტაეკვანდო (12 მოსწავლე) ; ძიუდო (17 მოსწავლე); კიკბოქსინგი (28 მოსწავლე); ზრძოლა წესების გარეშე (11 მოსწავლე); მკლავჭიდი (17 მოსწავლე), კარატე და ქართული ჭიდაობა რომლებიც ფუნქციონირებს შეუდგებიან ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან სპორტული კომპლექსის ახალ დარბაზებში. სულ სპორტულ სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 მოსწავლე, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირამი 3-ჯერ. ა(ა)იპ კომპლექსურ სასპორტო სკოლაში შტატით გათვალისწინებულია 40 სამშატო თანამდებობა მათ შორის, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 13 და 27 მწვრთნელი. სპორტული სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საქართველოს პირველობაზე.</p> | | |



| | |
|---------------------------|---|
| | |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია, სპორტსმენების აღზრდა, ოლიმპიური, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიის მოპოვება. მძლეოსნობით დაინტერესებული მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა და მძლეოსნების გაუმჯობესებული შედეგები. წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი შეჯიბრებები.</p> <p>პროგრამის მიზანია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისთვის; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: ა(ა)იპ კომპლექსური სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;</p> |

| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> | <p>კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა</p> | <p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> |
|---|-----------------|---|---|
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p> | <p>05 02 01</p> | | <p>513,0</p> |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | | <p>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება</p> | |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა- მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ერთი ფოლკლორული ანსამბლი - „მესხეთი“. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ბავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 700 ადსაზრდელი, ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ შედგება 11 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად იღებს მონაწილეობას, როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში. გაერთიანებაში შემავალ სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 3000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 700-ს (შემცირებულია პანდემიის გამო). მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 127 160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 15 000 მოსახლე (გაცემული წიგნების რაოდენობით). 2022 წლისათვის 15 000 ლარია გათვალისწინებული ახალი წიგნების შესაძენად (მკითხველთა მოთხოვნის შესაბამისად).</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაქვემდებარებაში შემავალი 13 ახალგაზრდული ცენტრის მიზანია ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებით, რათა არ მოხდეს ახალგაზრდობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად, ახალგაზრდების მეტი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და შემეცნილი უნარ-ჩვევები გამოყენებას სოფლის სასარგებლოდ (ახალგაზრდული ცენტრები ძირითადად სოფლადაა). ქალაქ ახალციხეში 2021 წელს რეაბილიტაცია უტარდება (ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე) ახალგაზრდულ ცენტრს, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა წრეობრივი მუშაობისათვის, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ საკუთარი უნარჩვევების გამოვლინება. ახალგაზრდულ ცენტრებში აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც ჩართულები არიან სოფლის განვითარებაში, ეხმარებიან მოსახლეობას სხვადასხვა აქტივობების შესრულებაში.</p> | |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | | <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ახალგაზრდულ ცენტრებში. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა .</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და მუსიკალურ წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში ტარდება სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები. კულტურის სახლები, ახალგაზრდული ცენტრები, ბიბლიოთეკები და მუზეუმი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით .</p> | |



| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|--|---|---|------------------------------------|
| | 05 02 02 | | 357,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას იღებს სულ 338 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 52 პედაგოგი და 17 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 3 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო და საორკესტრო. სკოლაში სწავლა ფასიანია, თუმცა არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სწავლის გადასახადი მინიმალურია, რის გამოც სკოლა საჭიროებს სუბსიდირებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სუბსიდია შეადგენს სკოლის მთლიანი გადასახადების 70%-ზე მეტს. პროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება. სამუსიკო სკოლები ხელს უწყობენ და აძლევენ შესაბამის განათლებას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღებას. სისტემატურად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება, რათა ამაღლდეს მათი შესაძლებლობები და ერთნაირად იზრუნონ ყველა ბავშვზე, მათ შორის შშმ მოსწავლეებზე. პროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულმა ბავშვმა მიიღოს დაწყებითი მუსიკალური განათლება. მოხდეს ეროვნული უმცირესობის მუსიკალური ცნობიერების ამაღლება, რათა სკოლის ასაკიდანვე ეზიარონ ქართულ მუსიკას. მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში. პედაგოგთა მაღალი შემოქმედებითი აქტივობის შედეგად გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი მოსწავლე, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებებს რეგიონის, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონკურსებში. პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, რათა მოხდეს სკოლებში მაღალი დონის სპეციალისტების შენარჩუნება და ახალგაზრდა თაობისათვის სკოლაში მუშაობის დაწყების მოტივაციის ამაღლება.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>მუსიკალური განათლება ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისთვის, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 5%-ით. მაღალია მუსიკალური კულტურა, მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მუსიკალური ფესტივალები და კონკურსები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე. მნიშვნელოვნად ამაღლებულია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში.</p> | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--|----------------------------------|
| | 05 02 03 | | 111,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ახალციხის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან ხელოვნების შემდეგ მიმართულებებს: ხატვა, ფერწერა, მოდელირება, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება ტრადიციული ხალხური ფარდაგების ქსოვისა და თექის დამზადების ტექნოლოგიების შესწავლა. სკოლა არის წარმატებული როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. მოსწავლეებს სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში დაკავებული აქვთ საპრიზო ადგილები. სკოლაში დასაქმებულია 12 თანამშრომელი - 8 პედაგოგი და ადმინისტრაციის 4 წარმომადგენელი. ახალციხის სამხატვრო სკოლაში 2020-2021 სასწავლო წელს ირიცხებოდა 253 მოსწავლე. სწავლის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს, მიმდინარე წელს განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია. სკოლის სრულყოფილი მუშაობისთვის საჭიროა სხვადასხვა სამუშაო მასალების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის დონის ამაღლებას და უფრო მეტი მოსწავლის მოზიდვას. 2021 წელს, პანდემიის გამო, საჭირო გახდა სკოლის მთლიანად სუბსიდირება, სკოლის ბიუჯეტი შეადგენს 87 100 ლარს. მიმდინარე წელს, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა სხვადასხვა კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობა.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>მომავალი თაობების აღზრდაში ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია მომავალი თაობების განვითარების ხელშეწყობა კულტურული და ესთეტიკური მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა სწავლის დონის განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნა. აღნიშნული დაწესებულების ვალდებულებაა სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური</p> | | |



| | |
|--|-------------|
| | ინტეგრაცია. |
|--|-------------|

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | „ახალციხის ციხის“, როგორც ტურისტული ობიექტის განვითარებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|----------------------------------|
| | 05 02 04 | | 442,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ახალციხის ციხე | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ "ახალციხის ციხე" გახსნის დიდიან ყოველწლიურად ტურისტების მზარდ ნაკადს მასპინძლობს, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ობიექტის სწორი პოზიციონირებით ციხის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაზრდა შესაძლებელია. ა(ა)იპ "ახალციხის ციხეს" აქვს პოტენციური კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს რაიონის შემოსავლების, დასაქმებისა და ინვესტიციების ზრდაში. რეკლამირება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე, ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, სწორედ დაგეგმილი ინფო ტურები და მოწვეულ ტურისტული სააგენტოებისათვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება მნიშვნელოვნად გაზრდის "ახალციხის ციხის" და ზოგადად ქალაქის მიმართ დაინტერესებას, რაც პირდაპირ იმოქმედებს რაიონის ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სწორი განვითარებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაცემების სწორი ინტერპრეტირება, ხარისხიანი საცნობარი/საპრომოციო მასალის დროული მომზადება, ბეჭდვა და გავრცელება, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება.</p> <p>ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომპლექსის ინფრასტრუქტურული განვითარების უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გულისხმობს 8 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში არსებული შენობა-ნაგებობების საჭიროების შემთხვევაში დროულ და ხარისხიან სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას, არსებული ინფრასტრუქტურის შუამდგომლობის და სხვა პირობებისთვის ადაპტირებასა და ა. შ. 8 ჰექტრამდე ტერიტორიის მოვლა პატრონობას - მწვანე საფარის ზოლის განახლებასა და გამრავალფეროვნებას, არსებული მრავალწლოვანი ნარგავების მოვლას, ტერიტორიის დასუფთავებას. კომპლექსის ვიზიტორების კმაყოფილებას ასევე განსაზღვრავს ციხის ტერიტორიაზე და ასევე დასახლების მასშტაბით (სწრაფი) კვების ობიექტების, სუვენიერების მაღაზიების, სასტუმროების, ბარების, კაფეების, რესტორნებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართულობა და ხელმოსაწვდომობა. კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ზრუნავს და აახლებს საინფორმაციო ბაზას რაიონის და ქალაქის სასტუმროების ფასების, ადგილების რაოდენობისა და სპეციალური შეთავაზებების შესახებ. ადგილზე ასევე შესაძლებელია რეგიონის მასშტაბით მომრავი საჯარო ტრანსპორტის გრაფიკისა და ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება ქალაქების და მიმართულებების მიხედვით. თავის მხრივ ა(ა)იპ "ახალციხის ციხის" ადმინისტრაცია ცდილობს ფართების გაიჯარებისას (ღონისძიებები, კონფერენციები და ა.შ.) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ახალციხის ციხის ფუნქციურ მრავალფეროვნებას.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ წარმოჩენა-პოპულარიზაცია, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენახვა, დასუფთავება და გამწვანება.</p> <p>ინფრასტრუქტურულად გამართული ა(ა)იპ "ახალციხის ციხის" მიერ მაღალკვალიფიციური კადრებით ვიზიტორებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება.</p> | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|--|---|-------------------------------------|------------------------------------|
| | 05 02 07 | | 200,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე პირების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატრიოტო მოქალაქის ფულადი საჩუქრის გაცემა, და სხვა.</p> <p>პროგრამების მიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიება და მასში ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების რაოდენობის ზრდა.</p> | | |
| მოსალოდნელი | | | |



| | |
|--------|---|
| შედეგი | კულტურის და განათლების სფეროების პოპულარიზაცია; კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე პირების მხარდაჭერა; განსაკუთრებული ნიჭის და შესაძლებლობების მქონე პირების გამოვლენა და მათი წახალისება. |
|--------|---|

| | | | |
|--|--|---|------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
| | 05 02 08 | | 186.9 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდება კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა და მათი ინვენტარით აღჭურვა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის კულტურული ცხოვრების წესის გაუმჯობესება და მეტი კომფორტის შექმნა | | |

| | | | |
|--|--|---|------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
| | 05 02 09 | | 170.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესიების და მონასტრების მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კულტურული ძეგლების და რელიგიური ორგანიზაციების ინფრასტრუქტურული მოწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახის შენარჩუნება და მათ ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა. | | |

| | | | |
|--|---|--|------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
| | 05 03 01 | | 81.7 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება. | | |
| | <p>ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელება ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება ახალციხის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის ოთხი მიმართულებით:</p> <p>1. ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობის გაზრდა;</p> | | |



| | |
|--------------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>2. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის მიზნით შესაბამისი პროგრამის შექმნა;</p> <p>3. ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა;</p> <p>4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა.</p> <p>- თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან;</p> <p>- ტურისტული ღონისძიებების განხორციელება: ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ცნობადობის ამაღლება და ტურისტული პროდუქტის (ბუკლეტი, რუქა, საიმიჯო ბროშურების და ა.შ) ბეჭდვა; ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდობის გააქტიურება-ჩართულობის, ინიციატივების წახალისების, კომპეტენციების ამაღლების, საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა. შეიქმნას და ხელი შეეწყოს ახალგაზრდების შეხვედრებს, სადაც მათ საშუალება მიეცემათ, გამოავლინონ თავიანთი ინიციატივები და გამართონ დისკუსიები (მაგ. ფილმების ჩვენება და შემდეგ დისკუსია), მათთვის საინტერესო და საჭირობო საკითხებზე. გამოავლინონ თავიანთი საჭიროებები და დასახონ სამოქმედო გეგმები.</p> <p>საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე პირების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით და სხვა;</p> <p>შემუშავებულ იქნას შესაბამისი მიდგომები და პროგრამები ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ახალგაზრდობის კიდევ უფრო გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, სპეციფიკური საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა.</p> |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. შესწავლილი და გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები;</p> <p>პროფესიონალების მიერ შემუშავებულია შესაბამისი მიდგომები და პროგრამები. გაუმჯობესებულია ახალგაზრდების მდგომარეობა. ახალგაზრდების ინტელექტუალური დონე მნიშვნელოვნად ამაღლებულია, პროექტები განხორციელებულია თვისობრივად და ხარისხობრივად მაღალორგანიზებულად.</p> |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | თეარტები | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|--|-------|---|------------------------------------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | 05 04 | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური | 145.0 |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის და სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფინანსურ მხარდაჭერას. ქვეპროგრამის მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული თეატრების ხელშეწყობა, კულტურის განვითარება. | |
| მოსალოდნელი შედეგი | | მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, ხელოვნების პოპულარიზაცია. | |

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 062.3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| | | |
|-----------------|-----------------------------------|-------------------|
| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2022 წლის პროექტი |
|-----------------|-----------------------------------|-------------------|



| | | |
|----------|--|---------|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2 062,3 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 223,0 |
| 06 01 01 | ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 223,0 |
| 06 01 02 | ამბულატორიების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0,0 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 1 839,3 |
| 06 02 01 | სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება | 3,6 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება | 211,0 |
| 06 02 03 | II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდების და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 18,0 |
| 06 02 04 | ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი | 193,0 |
| 06 02 05 | ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 51,7 |
| 06 02 06 | იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება | 194,2 |
| 06 02 07 | 99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება | 34,4 |
| 06 02 08 | ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის პროგრამა | 44,0 |
| 06 02 09 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე | 83,0 |
| 06 02 10 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება | 14,0 |
| 06 02 11 | მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება | 975,1 |
| 06 02 12 | ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში სოციალური შეღავათების მქონე პირთა შვილებისათვის სოციალური დახმარება | 17,3 |

| | | | |
|-----------------------------|--|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მუნიციპალური პროგრამა დელეგირებული და ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებლად და "ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 01 01 | | 223.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPho-10) ფუნქციების განხორციელების გზით; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებების გატარება; გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადეკვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზადყოფნა. იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა. პროგრამის მიზანია- ბავშვთა და მოზარდთა ზრდა-განვითარება მიმდინარეობდეს ეპიდემიოლოგიურად ჯანსაღ პირობებში. პროგრამით განსაზღვრული მომსახურება მოიცავს: სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო (სკოლები) დაწესებულებების რეგულარული მონიტორინგი სანიტარული და ჰიგიენური მოთხოვნებისა და ნორმების შენარჩუნების მიზნით, ბავშვთა და მოზარდთა სანიტარული განათლების ღონისძიებების გატარება ამავე კუთხით, ამ დაწესებულებათა კვების ბლოკებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> | | |



| | |
|--|--|
| | ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადამზრდელი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა; პროგრამის მიზანია ინფექციების (მათ შორის ც ჰეპატიტის ელიმინაციის ფარგლებში) აღმოცენებისა და გავრცელების შეზღუდვა ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას. პროგრამით განსაზღვრული მომსახურება მოიცავს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში რეგულარული მონიტორინგის განხორციელებას სანებართვო რეგისტრაციის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას. მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებას და დაავადებათა პრევენციის გზით შემცირებას. |
|--|--|

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|--|----------------------------------|
| | 06 02 01 | | 3.6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა უზრუნველყოფს დევნილთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ (მიმდინარე საანგარიშო წელს) გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას, | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. სამიზნე ჯგუფებისათვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება, ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|----------------------------------|
| | 06 02 02 | | 211.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისთვის და შშმ ბავშვთათვის ყოველთვიური, კვარტალური და ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; დღის ცენტრებში შშმ ბავშვებისთვის სერვისების დაფინანსება, მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მნიშვნელოვნად გამოხატული უსინათლო პირებისთვის არაფორმალური განათლების მისაღებად ხმოვან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში და შშმ პირების ადაპტირებულ დასასვენებელ სახლში შესაბამისი პროექტების ფინანსური მხარდაჭერა და ბენეფიციარებისთვის სხვა სერვისების მიწოდების ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები, მეტი ინტეგრირებული ოჯახი საზოგადოებაში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|----------------------------------|
| | 06 02 03 | | 18.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და | პროგრამა ითვალისწინებს II მსოფლიო ომის ვეტერანთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა ტერიტორიული ბრძოლების შედეგად დაზარალებულ, ომის მონაწილე შშმ პირთა და აღნიშნულ ბრძოლებში | | |



| | |
|--------------------|--|
| მიზანი | გარდაცვლილთა ოჯახების სოციალურ დახმარებას ფულადი ფორმით, სერვისების მიწოდების ხელშეწყობას. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები, ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველი პირების, უსახლკაროების კვებით უზრუნველყოფა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|----------------------------------|
| | 06 02 04 | | 193,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა ხდება მათი მომართვის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით 190-მდე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირი, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის განაცხადის გაკეთებული სოციალურ სამსახურში კვებით უზრუნველყოფის მოთხოვნით. სათნოების სახლს აქვს 200 ბენეფიციარის გამოკვების შესაძლებლობა ქალაქის მასშტაბით. მომავალი წლისთვის არ იგეგმება მომართვიანობის ზრდა, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ გვყავს 190 ბენეფიციარზე მეტი. ბენეფიციარების უმეტეს ნაწილს ასაკოვანი ადამიანები შეადგენენ, ამიტომ გარდაცვალების რისკიც საკმაოდ მაღალია. ამის გამო წლის განმავლობაში ხშირად ხდება ბენეფიციარების ჩანაცვლება. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ბენეფიციართა ძირითად ნაწილს ქალბატონები წარმოადგენენ, არა იმიტომ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში შეჭირვებულ მამაკაცთა რიცხვი დაბალია, არამედ მამაკაცები სხვადასხვა მიზეზის გამო არ მიმართავენ სოციალურ სამსახურს დახმარებისთვის. ხშირად სხვა ბენეფიციართა დახმარებით ხერხდება მათი დაკმაყოფილება.</p> <p>დაწესებულების ბენეფიციართა 70 პროცენტი კმაყოფილია არსებული მდგომარეობით და სათნოების სახლის მომსახურებით.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | „სათნოების სახლში“ შექმნილია სრულფასოვანი და სანდო გარემო. უკეთესად გამოკვებილი, ნდობით განმსჭვალული და კმაყოფილი ბენეფიციარების გაზრდილი რაოდენობა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|----------------------------------|
| | 06 02 05 | | 51,7 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართზე ხანძრით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ ერთჯერადი სოციალური დახმარება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. ოჯახების სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები, ოჯახების მორალური და ეკონომიური მხარდაჭერა. ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|----------|---|----------------------------------|
| | 06 02 06 | | 194,2 |
| | | | |



| | |
|---------------------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სადღესასწაულო (სახალწლო და სააღდგომო) დღეებში სოციალურ დახმარებას ფულადი ან მატერიალური ფორმით, ჰემოდიალიზით მოსარგებლეთა სოციალურ დახმარებას ფულადი ფორმით, მათ ფინანსურ მხარდაჭერას, მზრუნველობამოკლებულთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სურსათით უზრუნველყოფას ყოველკვარტალურად, ხოლო სასადილოს ბენეფიციარებისთვის ფულად დახმარებას სააღდგომოდ და სახალწლოდ. უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფას, ერთჯერადი დახმარება მრავალშვილიანებზე. |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; მზრუნველობამოკლებულთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება სურსათით; მემკვიდრის გარეშე დარჩენილთა სარიტუალო მომსახურება; მეწყერის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; უსახლკაროთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ ბენეფიციართათვის მათთვის აუცილებელ სერვისებზე და მოთხოვნილებებზე ხელმისაწვდომობა. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება პირობების გაუმჯობესების მიზნით. |

| | | | |
|---------------------------------------|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | 99 წელს გადაცილებულ უზუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 07 | | 34.4 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | უზუცესთა ფინანსური მხარდაჭერა, დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაწევა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები, მეტი ინტეგრირებული ოჯახი საზოგადოებაში. უზუცესთა ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა; დედ-მამით ობოლ ბავშვებზე მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის უზრუნველყოფა | | |

| | | | |
|--|--|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შერავათის პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 08 | | 44.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (წრიული მარშრუტით) მგზავრთა გადაყვანის საფასურის 50%-ის თანადაფინანსებას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები. ახალციხეში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსარგებლეთა დახმარება. | | |

| | | | |
|-----------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 09 | | 83,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება | | |



| | |
|----------------------------|--|
| სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყოველი ახალშობილის ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა, სოციალურად დაუცველი ოჯახების, მქონე 0-დან 1 წლამდე ბავშვთა ხელოვნური კვების დაფინანსება არაუმეტეს სამი თვის განმავლობაში. |
